



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 548/ს
13/10/2023

548-21-4-202310131835



ქ. რუსთავში შპს „vivacement“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „vivacement“-ის მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში, წერეთლის ქ. №41ა-ში არსებული ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2010 წლის 18 ივნისს ქ. რუსთავში, წერეთლის ქ. №41ა-ში, შპს „რუსთავი V.G“-ის ცემენტის წარმოებაზე გაცემულია №38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2014 წლის 6 აგვისტოს, კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე, შპს „რუსთავი V.G“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცა შპს „vivacement“-ს. 2020 წლის 31 დეკემბერს, ზემოაღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1268).

2023 წლის 16 ივნისს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა კომპანიის კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 77 მუხლის მე-3 ნაწილით (ხმაურის დადგენილი ნორმების გადამეტება), 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) და „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ფაქტებზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №078964 ოქმი.

აღსანიშნავია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და №38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ცემენტის საწარმოს განთავსება გათვალისწინებული იყო სამრეწველო ზონაში, 600 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე, თუმცა, ფაქტობრივი მდგომარეობით, ცემენტის საწარმო მოწყობილია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე ორ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.05.07.737 და 02.05.07.716), რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 5 992 მ²-ს. დოკუმენტის თანახმად, არსებული ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის საკადასტრო საზღვრამდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 12 მეტრს, ხოლო უშუალოდ ცემენტის წარმოებისათვის განკუთვნილი ბურთულეებიანი წისქვილიდან უახლოესი მოსახლე დამორებულია დაახლოებით 80 მეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ცემენტის საწარმოში ხორციელდება კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით სხვადასხვა მარკის პორტლანდცემენტის (მარკა „300“ და მარკა „400“) წარმოება, რისთვისაც ობიექტზე,

ფარდულის ტიპის კონსტრუქციაში, განთავსებულია 3 ტ/სთ წარმადობის მქონე ბურთულეებიანი წისქვილი. ცემენტის საწარმოს წარმადობა შეადგენს წელიწადში 7 200 ტონას, რისთვისაც ნედლეულის სახით გამოიყენება 5 760 ტონა კლინკერი, 360 ტონა თაბაშირი და 1 100 ტონა დანამატი. ობიექტი ფუნქციონირებს წელიწადში 300 დღე, დღე-ღამეში 8 საათი. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ცემენტის საწარმოს სამუშაო რეჟიმისა და წარმადობის გაზრდას, ასევე, ტექნოლოგიურ ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ცემენტის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში წყლის გამოყენება არ ხორციელდება. ობიექტი სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მარაგდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების ქსელიდან. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შესაკრებად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, გათვალისწინებული იყო ამოსაწმენდი ორმო, თუმიცა, ფაქტობრივი მდგომარეობით, ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო საყოფაცხოვრებო წყლები ჩართულია ქ. რუსთავის საკანალიზაციო ქსელში.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ცემენტის საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების პოტენციური დაბინძურების წყაროდ განხილულია შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული გრუნტი. დოკუმენტის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოხდება ტერიტორიის გასუფთავება, რაც გამორიცხავს სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკებს. აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადებაში, ცემენტის საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დამაბინძურებელ ნივთიერებად გათვალისწინებული არ არის შეწონილი ნაწილაკები. ამასთან, ვინაიდან, ობიექტი ნაცვლად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილული 600 მ² ფართობის მქონე ტერიტორიისა, მოეწყო 5 992 მ² ჯამური ფართობის მქონე მიწის ნაკვეთებზე, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ობიექტზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების რაოდენობა და შემდგომი მართვის საკითხი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ობიექტის ტერიტორიაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრულ 3 ერთეულ სილოსთან (თითოეული 65 ტონა) ერთად, დამატებით მოეწყო 7 ერთეული სილოსი (2 ერთეული – ჯამში 60 ტონა, 2 ერთეული – ჯამში 240 ტონა, 3 ერთეული – ჯამში 124 ტონა). შესაბამისად, სილოსების საერთო ტევადობა 195 ტონიდან გაიზარდა 690 ტონამდე. გარდა ამისა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში აირმტვერდამჭერ სისტემაში 36 სახელოებიანი ფილტრის ნაცვლად, დამონტაჟდა 48 სახელოებიანი ფილტრი, მოეწყო უწყვეტი მონიტორინგის სისტემა და განთავსდა 3 ტ/სთ წარმადობის მქონე სარეზერვო ბურთულეებიანი წისქვილი, რომელიც იმუშავებს არსებული წისქვილის მწყობრიდან გამოსვლის ან გეგმიური რემონტის შემთხვევაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრისა და ცემენტის მტვრის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე წარმოდგენილი იყო 9 გაფრქვევის წყარო. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების გათვალისწინებით, საწარმოში გაფრქვევის წყაროების რაოდენობა გაიზარდა 8 ერთეულით. დოკუმენტის თანახმად, ვინაიდან, ობიექტის სამუშაო რეჟიმისა და წარმადობის ცვლილებას ადგილი არ ჰქონია, ბურთულეებიანი წისქვილიდან მოსალოდნელი ემისიების რაოდენობა დარჩა უცვლელი. აღსანიშნავია, რომ

სკრინინგის განცხადებაში მოცემული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები არ არის სწორად დაანგარიშებული. ვინაიდან, არსებული ობიექტი, ტექნოლოგიური პროცესის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, განეკუთვნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაღალი რისკის კატეგორიას, ცემენტის საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს დამატებით შესწავლას და უახლოეს მოსახლესთან მიმართებით (80 მეტრი) მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის (მგ/მ³) განსაზღვრას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროებია ბურთულებიანი წისქვილი და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. დოკუმენტში წარმოდგენილია ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი აკუსტიკური ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები, რომლის თანახმად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (80 მ) მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 47 დბა-ს. აღსანიშნავია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენდა 27 დბა-ს. ამასთან, სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ბურთულებიანი წისქვილი მოწყობილია ფარდულის ტიპის ნაგებობაში და ხმაურის დასახმობად იგი მოქცეულია სპეციალურ გარსაცმში. აღსანიშნავია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის დონეების გაანგარიშებისას გათვალისწინებული იყო ბურთულებიანი წისქვილის დახურულ შენობაში განთავსება, რაც მოსალოდნელი ხმაურის დონეს ამცირებს არანაკლებ 30%-ით. გარდა ამისა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, საჭიროების შემთხვევაში, ასევე, მოთხოვნილი იყო ბურთულებიანი წისქვილის დოლის ხმის დამხშობი საშუალებით შეფუთვა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კორესპონდენციის თანახმად, შპს „vivacement“-ის კუთვნილი საწარმოს ინსპექტირებისას, ხმაურის დონის განსაზღვრის მიზნით განხორციელებული ექსპრეს-გაზომვების შედეგების მიხედვით, უახლოეს მოსახლესთან ხმაურის დონე აღემატებოდა „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას, ასევე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

სკრინინგის განცხადებაში საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება განხილულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელების კუთხით. დოკუმენტის თანახმად, ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 22 მეტრში განთავსებულია შპს „გეო ინვესტის“ თამბაქოსა და ალკოჰოლური ნაწარმის საწყობი, ხოლო 35 მეტრში – კომანდიტური საზოგადოება „კოწიწაშვილი და კომპანიას“ კარ-ფანჯრების დამამზადებელი საწარმო და საწყობი. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ცემენტის საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 90 მეტრში, ასევე, მდებარეობს შპს „გიორგი ბლიამის“ (ს/კ: 02.07.02.006), 240 მეტრში – შპს „4-ჯ“-ის (ს/კ:02.07.02.423), ხოლო 320 მეტრში – შპს „ა და გ“-ს (ს/კ:02.07.02.485) საკუთრებაში არსებული ობიექტები, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ცემენტის საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 95 მეტრში განთავსებულია შპს „რუსთავის ფოლადის“ ცემენტის საწარმო, რომელიც მოსალოდნელი კუმულაციური

ზემოქმედების განხილვისას დოკუმენტში გათვალისწინებული არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ისე – ხმაურის გავრცელების კუთხით, მოითხოვს დამატებით შესწავლას და შეფასებას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და ხე-მცენარეები წარმოდგენილი არ არის. ცემენტის საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაგზავნილ იქნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ 2010 წელს განხორციელებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ფარგლებში შესწავლილი ცემენტის საწარმო, ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად, განთავსებულია 600 მ²-ის ნაცვლად 5 992-მ²-ზე და ამასთან, შეცვლილია ობიექტზე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის განლაგების ადგილები და პირობები. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ცემენტის საწარმოს მიერ ათვისებული ტერიტორიის ფართობი, დოკუმენტში აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, ასევე, დასაზუსტებელია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრული და ფაქტობრივად მოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამის გენგეგმაზე დატანით. ამასთან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, დამატებით შესწავლას და შეფასებას საჭიროებს ცემენტის საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკური ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, ასევე, არსებულ/დაგეგმილ საქმიანობებთან კუმულაციური ზემოქმედება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში, წერეთლის ქუჩა №41ა-ში, შპს „vivacement“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „vivacement“-ი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „vivacement“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „vivacement“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ე. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

